მცირე და საშუალო საწარმოები საქართველოში, ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში

SMALL AND MEDIUM SIZED ENTERPRISES IN GEORGIA, EUROPEAN UNION AND UNITED STATES

სალომე საყვარელიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დოქტორანტი საქართველო, თბილისი

SALOME SAKVARELIDZE,
Ivane Javakishvili Tbilisi State University
Faculty of Economic and Business
Georgia, Tbilisi

ანოტაცია

მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მსოფლიოში ეკონომიკის განვითარებაში. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესი ხელს უწყობს ინოვაციებს, თანამედროვე ბიზნეს კულტურის შექმნას, ექსპორტის ზრდას და საერთაშორისო ბაზრების შესაძლებლობების ათვისებას და სამომავლო გამოყენებას. მცირე და საშუალო მეწარმეობის წვლილი მნიშვნელოვანია მეცნიერების განვითარებისა და ახალი პროდუქციის შექმნის მიმართულებით.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) შეფასებით, მცირე და საშუალო საწარმოები მსოფლიოში არსებული კომპანიების 90%-ს წარმოადგენენ, ქმნიან სახელმწიფოებში სამუშაო ადგილებს და საშუალოდ მსოფლიო მოსახლეობის 63% ჰყავთ დასაქმებული.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული პოლიტიკა მიზნად ისახავს ბიზნესისათვის უკეთესი და ეფექტური პირობების შეთავაზებას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და წარმოების ზრდის უზრუნველყოფის შესაძლებლობას სავაჭრო-სამრეწველო პალატების, კერძო საფინანსო ორგანიზაციების და კერძო კვლევითი სტრუქტურების მეშვეობით.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, როგორიც არის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო კორუფციასთან ბრძოლა, ბიზნესის დაწყების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი ეფექტური გარემოს შექმნა.

საკვანძო სიტყვები: *მცირე და საშუალო საწარმოები, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ეკონომიკური რეფორმები.*

ABSTRACT

Small and Medium Sized enterprises play an important role and develop world economy. Strong and well-developed Small and Medium Sized businesses offer opportunities like innovations, creation of modern business culture, export growth and access to international markets and future use of it. The Organization for Economic Co-operation and Development (OECD) estimates that small and medium enterprises represent 90% of companies in the world, create jobs in the states and employ 63% of the world's population. Furthermore, small and medium entrepreneurial contribution is important in the development of science and new products.

The national policy of United States and EU member states aims to offer better and more effective conditions for Small and Medium Sized businesses. In addition, to enhance competitiveness and production through commercial and industrial chambers, private financial organizations and private research structures.

Over the past few years, Georgia has made significant reforms, such as economic reforms. The main purpose of the reform was to fight corruption, to start a business easily and to create a favorable environment for direct foreign investment.

***Keywords**: Small and Medium Sized enterprise, OECD, European Union, United States, economic reforms.*

მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მსოფლიოში მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის საქმეში. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესი ხელს უწყობს ინოვაციებს, თანამედროვე ბიზნეს კულტურის შექმნას, ექსპორტის ზრდას და საერთაშორისო ბაზრების შესაძლებლობების ათვისებას და სამომავლო გამოყენებას. ამასთან ერთად, ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებისა და დასაქმების ზრდისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სახელმწიფოების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა წახალისების და ეფექტური ბიზნესგარემოს შექმნის გზით. ამასთან ერთად, 21-ე საუკუნეში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო თანემედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და კომუნიკაციის გამარტივება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) შეფასებით, მცირე და საშუალო საწარმოები მსოფლიოში არსებული კომპანიების 90%-ს წარმოადგენენ, ქმნიან სახელმწიფოებში სამუშაო ადგილებს და საშუალოდ მსოფლიო მოსახლეობის 63% ჰყავთ დასაქმებული. კერძოდ, ევროკავშირის წევრი ქვეყნების 22 მილიონზე მეტი და ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოებით 28 მილიონი კომპანია მცირე და საშუალო ბიზნესის სახით არის წარმოდგენილნი [8. გვ., 2] და მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 49%-ს, ხოლო დაბალი შემოსავლების ქვეყანაში თითქმის 29%-ს აწარმოებენ [9. გვ., 35].

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ჯერ კიდევ დიდი დეპრესიის დროს დაიწყო [6. გვ., 3]. საწარმოების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება ვაჭრობის, წარმოების, ფინანსური, სოციალური მომსახურების სექტორის და ინოვაციების სფეროების მიმართულებით [10. გვ., 5]. კერძოდ, 1983 წლიდან 2006 წლამდე საწარმოების რაოდენობა 13 მილიონიდან 26 მილიონამდე გაიზარდა და დღეისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ადგილების 2/3 შექმნილია მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელების მიერ [10. გვ., 6].

მცირე და საშუალო მეწარმეობის წვლილი მნიშვნელოვანია მეცნიერების განვითარებისა და ახალი პროდუქციის შექმნის მიმართულებით. თვითმფრინავების, ვერტმფრენების, კონდიციონერების, პერსონალური კომპიუტერების და სხვა პროდუქციის წარმოება თავდაპირველად მცირე და საშუალო საწარმოებში იქნა დაწყებული.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საშუალო საწარმოდ ითვლება საწარმო სადაც დასაქმებულთა ზღვარი 100 – 499 ადამიანამდე მერყეობს და წლიური ბრუნვა 1 მილიარდ დოლარამდეა, ხოლო მცირე საწარმოდ მიჩნეულია საწარმო, სადაც დასაქმებულთა ზღვარი არის 10 – 99 ადამიანი და წლიური ბრუნვა 10 მილიონ დოლარამდე [7. გვ., 20].

ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდამჭერი კარგად განვითარებული ეფექტური სისტემა მოქმედებს. ევროკავშირის ქვეყნებში 2012 წლისათვის მოქმედებდა 22 მილიონზე მეტი მცირე და საშუალო საწარმო, სადაც დაახლოებით 130 მილიონი ადამიანი იყო დასაქმებული. მთლიანობაში ევროკავშირში მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების 53 პროცენტს და საქონელბრუნვის ერთ მეოთხედს.

ევროკავშირის კომისიის 1996 წლის დადგენილების თანახმად, მცირე საწარმოდ ითვლება საწარმო, სადაც დასაქმებულია 50-ზე ნაკლები ადამიანი და აქვს წლიური ბრუნვა, რომელიც არ აღემატება 7 მილიონ ევროს. აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანა მოხდა და 2003 წლიდან ევროკომისიამ მცირე და საშუალო ბიზნესის გარჩევის ახალი კრიტერიუმები მიიღო, რომლებიც ძალაში 2005 წლის 1 იანვრიდან შევიდა. ამ კრიტერიუმების თანახმად, საშუალო საწარმოდ ითვლება საწარმო სადაც დასაქმებულთა ზღვარი 50 – 249 ადამიანამდე მერყეობს და წლიური ბრუნვა შეადგენს 50 მილიონ ევრომდე, ხოლო მცირე საწარმოდ მიჩნეულია საწარმო, სადაც დასაქმებულთა ზღვარი არის 10 – 49 ადამიანი და წლიური ბრუნვა შეადგენს 10 მილიონ ევროს [2. გვ., 57].

2014 წლის გამოკვლევის შედეგად, ევროკავშირის მასშტაბით მოკვლეული საწარმოები საკუთარი ბიზნესისათვის ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის ფინანსებზე წვდომის არა-

საკმარისობას ასახელებენ. თუმცა, არანაკლები პრობლემაა მომხმარებლის პოვნა, დასაქმებულთა არასაკმარისი კვალიფიკაცია, რეგულაციები, კონკურენცია და სხვა [1. გვ., 2].

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული პოლიტიკა მიზნად ისახავს ბიზნესისათვის უკეთესი და ეფექტური პირობების შეთავაზებას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და წარმოების ზრდის უზრუნველყოფის შესაძლებლობას სავაჭრო-სამრეწველო პალატების, კერძო საფინანსო ორგანიზაციების და კერძო კვლევითი სტრუქტურების მეშვეობით. მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების რაოდენობის ზრდამ 2004 წლიდან 2008 წლამდე 30% შეადგინა. 2013 წლის მონაცემებით ევროკავშირის ქვეყნებში 5000-ზე მეტი კომერციული არასამთავრობო ორგანიზაციები არის დარეგისტრირებული.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, როგორიც არის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო კორუფციასთან ბრძოლა, ბიზნესის დაწყების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი ეფექტური გარემოს შექმნა.

წარმატებული სისტემის მისაღწევად საჭირო გახდა არსებული ბიოკრატიული პროცედურების გამარტივება, რაც პირველ რიგში მოიცავდა ადმინისტრაციული ბარიერებისა და გადასახადების შემცირებას და სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებას. ბოლო წლებში გატარებული ეფექტური რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია და მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები, რაზეც მეტყველებს მსოფლიოს სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის დადებითად შეფასება [4. გვ., 10].

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების მისაღწევად საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ტერიტორიაზე მცირე და საშუალო მეწარმეობის დაწყების და მისი განვითარების კუთხით ტრეინინგების და საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის, ფინანსებზე და ინოვაციებზე ხელმისაწვდომობის და სხვადასხვა მხარდამჭერი ინსტიტუტების და მექანიზმების ეტაპობრივი განვითარების შესაძლებლობის შექმნაზე.

მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას. საქართველოში საშუალო საწარმოში, წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მილიონ ლარს, ხოლო მცირე საწარმოში, წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და წლიური ბრუნვა არა უმეტეს 500 ათას ლარს [4. გვ., 12].

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის ძირითადი სეგმენტია: ვაჭრობა, მრეწველობა, რესტორნები, ფინანსური შუამავლობა და სხვა. 2014 წელს, მოქმედი საწარმოების რიცხვი 70 760-ს შეადგენდა, საიდანაც 6 170 იყო საშუალო, ხოლო 60 640 - მცირე საწარმო. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოები 94%-ს (9% საშუალო, 85% მცირე) წარმოადგენენ, (საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020, გვ.18). 2006-2014 წლებში, მცირე და საშუალო ბიზნესის წლიური ბრუნვა 269%-ით (2,4 მილიარდი ლარიდან 9,0 მილიარდ ლარამდე) და გამოშვება 269.7%-ით გაიზარდა (1,4 მილიარდი ლარიდან 5,2 მილიარდ ლარამდე). კადრების დასაქმება მცირე და საშუალო საწარმოებში 53.7%-ით, 168.7 ათასიდან 259.4 ათას პირამდე გაიზარდა [4. გვ., 18].

საქართველოში გატარდა საგადასახადო პოლიტიკის გაუმჯობესების (21 სახის გადასახადის ნაცვლად ამჟამად საქართველოში მოქმედებს 6 გადასახადი), საბაჟო პოლიტიკის გაუმჯობესების (მოქმედებს მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთი:12%, 5% და 0%, ნაცვლად ადრე მოქმედი 16-სა), ლიცენზიების და ნებართვების შემცირებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ეფექტური რეფორმები. ამასთან ერთად, ეკონომიკური განვითარების პროცესში მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელის შეწყობის მიზნით ფუნქციონირებს მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომელიც საქართველოში არის მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების ერთადერთი მაკოორდინირებელი სტრუქტურა. აგრეთვე შექმნილია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის და მათი ეკონომიკური წვლილის გაზრდის მიზნით ასევე ფუნქციონი-

რებს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, კერძო ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაში, სოციალური უთანაბრობის შემცირებასა და დასაქმების ზრდაში. თავიანთი მოქნილობისა და დინამიურობის წყალობით, სწრაფად ახდენენ რეაგირებას მოთხოვნილების ცვლილებაზე, ასევე წარმოადგენენ ინოვაციის წყაროს. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ოფიციალური განმარტება ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს.

ზოგადი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოს წინაშე იგივე ხელისშემშლელი გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. ეს გამოწვევებია: სამეწარმეო უნარებისა და გამოცდილების ნაკლებობა, ინოვაციებისა და კვლევის დაბალი დონე, ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული შესაძლებლობები, კვალიფიციური კადრების მოძიება და შესაძლო საგარეო ეკონომიკური ფაქტორები.

შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე არსებულმა მცირე და საშუალო საწარმოება უნდა მოახდინონ გარემოს ანალიზი და სწრაფი რეაგირება ზოგადად მსოფლიოში არსებულ გამოწვევებზე, კერძოდ, თანამედროვე ტექნოლოგიებზე. მათი ეტაპობრივი დანერგვა ფირმებში, მეწარმეებს შეუქმნინდა სამომავლოდ საერთაშორისო ვაჭრობის წამოწყების, გაფართოების, შიდა ბაზრის ათვისების,ვსხვადასხვა მომსახურების შეთავაზების და ახალი ინვესტიციების მოძიების შესაძლებლობას.

ლიტერატურა/REFERENCES

[1]. **ასლამაზიშვილი, ნ.** (2015). ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად: ევროპული გამოცდილება. ეკონომიკა და საბანკო საქმე, 3 (2), 53-65. მოძიებულია https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015_2/statia4.pdf

[2]. **გობეჯიშვილი, ე.** (2013). საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები. თეზისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი.

[3]. **როსტიაშვილი თ.** (2009) მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის და განვითარების სტრატეგია საქართველოში. თეზისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

[4]. საქართველოს მთავრობა. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. მოძიებულია http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf

[5]. **ტურაშვილი, თ.** (2013). ელექტრონული კომუნიკაციის განვითარება საქართველოში - ინტერნეტის ხელმისაწვდომობა. მოძიებულია https://idfi.ge/public/migrated3%90.pdf

[6]. **Acs, Z., Carlsson, B., Carlsson, C.** (1999). Enterpreneurship, Small and Medium Sized Enterprises and the Macroeconomy. Cambridge University Press.

[7]. **Berisha, G., Pula, J.** (2015). Defining Small and Medium Enterprises: a critical review. Academic Journal of Business, Administration, Law and Social Sciences 1 (1), 17-27.

[8]. **EUROPEAN COMMISSION.** Transatlantic Trade and Investment Partnership. The opportunities for small and medium-sized enterprises. DOI: 10.2781/73171.

[9]. **International Finance Cooperation.** (2013). Closing the Credit Gap for Formal and Informal Micro, Small, and Medium Enterprises. moZiebulia https://www.ifc.org/wps/wcm/connect/4d6e6400416896c-09494b79e78015671/Closing+the+Credit+Gap+Report-FinalLatest.pdf?MOD=AJPERES

[10]. **Калинин, А.** (2011). Анализ развития и состояние малого и среднего бизнеса в мире. Экономика, предпринимательство и право, 4